

## ზუგდიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის

ოქმი N4

ქ. ზუგდიდი

12 თებერვალი 2019 წელი

2019 წლის 12 თებერვალს გაიმართა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომა;

**სხდომას თავმჯდომარეობდა:** ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე მამუკა წოწერია

**საკრებულოს სხდომას ესწრებოდა 33 დეპუტატი:** მამუკა წოწერია, ბესიკ ჭეჭია, თამუნა ჯიქია, თაზო ფაცაცია, ეკატერინე კიფაია, დავით გახარია, სანდრო სორდია, ოთარ ქადარია, დაზმირ მიმცეიშვილი, ჯონი ჯიქია, ირაკლი ლაგვილავა, ზაზა ანდრიაძე, ირუზა კაკავა, ედიტა კოდუა, ზაზა პროკოპენკო, სალომე ფაცაცია, არჩილ ბერანძე, გია დანელია, ჯანსუღ ჯაბუა, დავით ჭაფანძე, მანანა მებონია, სოსო გოგობია, პაატა ებრალიძე, ტარიელ გაბულდანი, მამუკა თოლორაია, გოგი თოდუა, ლაშა ესებუა, რამაზ ჯაბუა, ირაკლი ჯანაშია, ზვიად ქირია, გელა თოლორაია, ბათლომე შელია, თენგიზ აღმასია.

**საკრებულოს სხდომას არ ესწრებოდა 17 დეპუტატი:** ოთარ მარშავა, ზვიად ყორშია, მიხეილ ჯობავა, ამირან ჩხოლარია, მამუკა ყურაშვილი, ზურაბ გოგობე, გიორგი თოდუა, გოგიტა ზარქუა, კონსტანტინე კაკავა, დავით შელია, გიორგი კუკავა, ზაზა ხუბუა, რევაზ თორდია, მალხაზ ციკუტანია, ანა წითლიძე, პაატა ადამია, ირაკლი ღურწყაია.

**სხდომას ასევე ესწრებოდნენ:** მურთაზ ბოკუჩავა-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსის მოადგილე, ნატალია პაპასკირი-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი, არასამთავრობო სექტორის, პრესისა და ტელევიზიის წარმომადგენლები;

**სხდომას მდივნობდა:** საკრებულოს მესამე რანგის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი სოფიო ჯიქია;

**სხდომა დაიწყო: 13:00 საათზე;**

**სხდომა დამთავრდა: 13:45 საათზე;**

სხდომის თავმჯდომარემ მამუკა წოწერიამ სხდომის მონაწილეებს გააცნო მორიგი სხდომის **დღის წესრიგი**

1. „საქართველოს რეგიონალური განვითარების ფონდიდან დასაფინანსებელი პროექტების მოწონების შესახებ“ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 21 დეკემბრის №43 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ;

**მომხსენებელი:** ირაკლი ლაგვილავა-საკრებულოს ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

2. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ქალაქის ადმინისტრაციულ ერთეულში უსახელო ქუჩის სახელდების შესახებ;

**მომხსენებელი:** ირაკლი ლაგვილავა-საკრებულოს ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

3. „ზუგდიდის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 31 დეკემბრის №100 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

**მომხსენებელი:** დავით გახარია-საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო და სარევიზიო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

4. კერძო სამართლის იურიდიული პირის „სპორტულ დაწესებულებათა მართვის ცენტრის“ რეორგანიზაციის განხორციელების მიზანშეწონილობაზე ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

**მომხსენებელი:** სანდრო სორდია-საკრებულოს იურიდიულ-სამანდატო და ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

სხდომის თავმჯდომარე მამუკა წოწერიამ კენჭი უყარა სხდომის დღის წესრიგს

**მომხრე -33 დეპუტატი, წინააღმდეგი- არცერთი;**

**დამტკიცეს:** ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 12 თებერვლის მორიგი სხდომის დღის წესრიგი წარმოდგენილი რედაქციით;

**საკრებულომ მიიღო N13 განკარგულება (თან ერთვის)**

**დღის წესრიგის პირველი საკითხი:** „საქართველოს რეგიონალური განვითარების ფონდიდან დასაფინანსებელი პროექტების მოწონების შესახებ“ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 21 დეკემბრის №43 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ

**მომხსენებელმა ირაკლი ლაგვილავამ აღნიშნა:** საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის 2019 წლის 11 თებერვლის №02/1499 წერილის შესაბამისად, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო განკარგულება: „საქართველოს რეგიონალური განვითარების ფონდიდან დასაფინანსებელი პროექტების მოწონების შესახებ“ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 21 დეკემბრის №43 განკარგულებაში შეტანილ იქნას ცვლილება და განკარგულებით დამტკიცებული

ზუგდიდის მუნიციპალიტეტში საქართველოს რეგიონული განვითარების პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი პროექტები ჩამოყალიბდეს დანართის შესაბამისად.

დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით რაიმე შენიშვნა ან წინადადება არ გამოთქმულა;

სხდომის თავმჯდომარემ მამუკა წოწერიამ დღის წესრიგის პირველ საკითხზე გამოაცხადა კენჭისყრა;

**მომხრე -33 დეპუტატი, წინააღმდეგი-არცერთი**

**გადაწყვეტის:** „საქართველოს რეგიონალური განვითარების ფონდიდან დასაფინანსებელი პროექტების მოწონების შესახებ“ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 21 დეკემბრის №43 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ;

**საკრებულო მიიღო N14 განკარგულება (თან ერთვის);**

**დღის წესრიგის მეორე საკითხი:** ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ქალაქის ადმინისტრაციულ ერთეულში უსახელო ქუჩის სახელდების შესახებ;

**მომხსენებელმა ირაკლი ლაგვილაგამ აღნიშნა:** საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „პ“ ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ა.ე“ ქვეპუნქტის და 61-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, აგრეთვე „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილების მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ პუნქტის, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის დავით გახარის 2018 წლის 25 ივნისის №541/03 მომართვის და გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა დადგენის, ნორმალიზების, გამოყენების, აღრიცხვისა და დაცვის მიზნით გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა სფეროში მოქმედი სამთავრობო კომისიის 2018 წლის 27 დეკემბრის №13 სხდომის ოქმით მიღებული თანხმობის შესაბამისად, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ქალაქის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე (ფაიფურის დასახლება) უსახელო ქუჩას, რომლის სათავეა ი. ჭავჭავაძის ქუჩის გადაკვეთა და გრძელდება თ. ყუფუნის II შესახვევის მიმართულებით ეწოდოს ქართველი მწიგნობრის ფარნავაზ მეფის სახელი;

დღის წესრიგის მეორე საკითხთან დაკავშირებით რაიმე შენიშვნა ან წინადადება არ გამოთქმულა;

სხდომის თავმჯდომარემ მამუკა წოწერიამ დღის წესრიგის მეორე საკითხზე გამოაცხადა კენჭისყრა;

**მომხრე -33 დეპუტატი, წინააღმდეგი-არცერთი**

**გადაწყვეტის:** ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ქალაქის ადმინისტრაციულ ერთეულში უსახელო ქუჩის სახელდების შესახებ;

**საკრებულომ მიიღო N15 განკარგულება (თან ერთვის);**

**დღის წესრიგის მესამე საკითხი:** „ზუგდიდის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 31 დეკემბრის №100 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

**მომხსენებელმა დავით გახარამ აღნიშნა:** საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „დ.ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს ორგანული კანონის „ნორმატიული აქტების შესახებ“ მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის და „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ 78-ე მუხლის შესაბამისად, „ზუგდიდის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 31 დეკემბრის №100 დადგენილებაში ([www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge), 31/12/2018, სარეგისტრაციო კოდი 190020020.35.105.016488) შეტანილ იქნეს ცვლილებება.

დღის წესრიგის მესამე საკითხთან დაკავშირებით რაიმე შენიშვნა ან წინადადება არ გამოთქმულა;

სხდომის თავმჯდომარემ მამუკა წოწერიამ დღის წესრიგის მესამე საკითხზე გამოაცხადა კენჭისყრა;

**მომხრე -33 დეპუტატი, წინააღმდეგი-არცერთი**

**დაადგინეს:** „ზუგდიდის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 31 დეკემბრის №100 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

**საკრებულომ მიიღო N8 დადგენილება (თან ერთვის);**

**დღის წესრიგის მეოთხე საკითხი:** კერძო სამართლის იურიდიული პირის „სპორტულ დაწესებულებათა მართვის ცენტრის“ რეორგანიზაციის განხორციელების მიზანშეწონილობაზე ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ;

**მომხსენებელმა სანდრო სორდიამ აღნიშნა:** საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „დ.ბ“ ქვეპუნქტის და 106<sup>1</sup> მუხლის, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოდან მიღებული (წერილი №03/110, 06.02.2019 წ.) ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული კერძო სამართლის იურიდიული პირების სტრუქტურისა და საქმიანობის შესწავლის მიზნით ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შექმნილი დროებითი სამუშაო ჯგუფის შუალედური დასკვნისა და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის 2019 წლის 11 თებერვლის №02/1522 წერილის საფუძველზე, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიზანშეწონილად მიაჩნია თანხმობა მისცეს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერს განახორციელოს რეორგანიზაცია მუნიციპალიტეტის მიერ

დაფუძნებულ კერძო სამართლის იურიდიული პირის „სპორტულ დაწესებულებათა მართვის ცენტრში“.

დღის წესრიგის მეოთხე საკითხთან დაკავშირებით რაიმე შენიშვნა ან წინადადება არ გამოთქმულა;

სხდომის თავმჯდომარემ მამუკა წოწერია მ დღის წესრიგის მეოთხე საკითხზე გამოაცხადა კენჭისყრა;

მომხრე -33 დეპუტატი, წინააღმდეგი-არცერთი

გადაწყვიტეს: კერძო სამართლის იურიდიული პირის „სპორტულ დაწესებულებათა მართვის ცენტრის“ რეორგანიზაციის განხორციელების მიზანშეწონილობაზე ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ;

საკრებულომ მიიღო N16 განკარგულება (თან ერთვის);

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხი განხილულ იქნა

სხდომა დახურულად გამოცხადდა

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს თავმჯდომარე:



მამუკა წოწერია